სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

# ლოტებად გამოცხადებულ შესყიდვის ელექტრონული პროცედურა დონორის სახსრებით (DEP) ტენდერში

# სატენდერო წინადადების წარდგენის ინსტრუქცია

თბილისი, 2017
ვერსია 1.0

2017 წლის მაისიდან შემსყიდველებს შესაძლებლობა აქვთ ტენდერი - „შესყიდვის ელექტრონული პროცედურა დონორის სახსრებით“ (DEP) გამოაცხადონ ორ ლოტად, რაც გულისხმობს შესყიდვის ობიექტის მოცულობის დაყოფას ორ შედარებით მცირე ლოტად.

ორ ლოტად გამოცხადებულ ტენდერში პრეტენდენტებს უფლება აქვთ სატენდერო წინადადება წარადგინონ, როგორც ტენდერის მთლიან შესყიდვის ობიეტზე (ორივე ლოტზე), ასევე, ტენდერის მხოლოდ ერთერთ ლოტზე.

პრეტენდენტების მიერ სატენდერო წინადადების სისტემაში ატვირთვა და შეთავაზებული ფასის დაფიქსირება ხორციელდება ტენდერის „შეთავაზებების“ გვერდიდან (იხ. ქვემოთ მოცემული სურათი).




ტექნიკური დოკუმენტაციის წარდგენა ლოტებზე დასაშვებია როგორც, ერთი ფაილით, ასევე, ორ სხვადასხვა ფაილად. დოკუმენტაციის ატვირთვა ხორციელდება ქვემოთ მოცემულ სურათზე წითლად მონიშნული ფაილების ასატვირთი ველიდან.




ტექნიკური დოკუმენტაციისა და მინდობილობის სისტემაში ატვირთვის შემდეგ ეკრანზე გამოჩნდება სატენდერო წინადადების ღირებულების დასაფიქსირებელი ორი ველი, რომელთაგან, პირველი ველი განეკუთვნება ტენდერის პირველ ლოტს, ხოლო, მეორე შესაბამისად - მეორე ლოტს (იხ. ქვემოთ მოცემული სურათი).

